

სამახსოვრო გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრისთვის

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 09:00 საათიდან. გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის წევრი:

- ▶ სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ▶ ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობას;

ყურადღება! მარკირება არ გამოიყენება გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა მიმართ.

- ▶ ხელს აწერს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის სათანადო გრაფაში, ხოლო შემდეგ ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის მიღებას;

ყურადღება! თუ კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველმა, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, ხელი უნდა მოაწეროს იმავე გრაფაში. აღნიშნულის თაობაზე გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებმა კომისიის წევრებმა უნდა დაწერონ ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში რიგითი ნომრის, სახელისა და გვარის მითითებით).

- ▶ საარჩევნო ბიულეტენს, ხმის მიცემისთვის განკუთვნილ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტთან ერთად, გადასცემს ამომრჩეველს, განუმარტავს საარჩევნო ბიულეტენის შევსების და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენების წესს, აფერადებინებს ამომრჩეველს ამავე საარჩევნო ბიულეტენზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე არსებულ საცდელ წრეს;
- ▶ მიუთითებს ამომრჩეველს ფარულობის პრინციპის დაცვით შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსების შემდგომ ლითონის სამაგრით დაამაგროს აღნიშნული კონვერტი (ასეთი ფორმით თავსდება სპეციალური ჩარჩო-კონვერტი გადასატანი საარჩევნო ყუთში).

ყურადღება!

- ✓ თუ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, მას უფლება აქვს, დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა;
- ✓ თუ ამომრჩეველს ან გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებს კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, კომისიის წევრი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური ჩარჩო-კონვერტი ახლით;
- ✓ თუ დაირღვა გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, გადასატანი ყუთის წამლებმა კომისიის წევრებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს, შეადგინონ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით და ხელი მოაწერონ თანმხლებ პირებთან ერთად.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა სრულდება 19:00 საათზე. კენჭისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ ილუქება საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტენების ჩასაგდები ჭრილი. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არაუგვიანეს 20 საათისა.

გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებმა კომისიის წევრებმა კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა გადასცენ გამოუყენებელი/გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი სპეციალური ჩარჩო-კონვერტები.

ყურადღება! კომისიის მდივანი ამოწმებს გადასატანი ყუთის სიაში არსებული ხელმოწერების, გამოუყენებელი ან/და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სისწორეს. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში გადასატანი ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა უნდა დაწერონ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით.